ბელა სარია
ეთერ აფხაზავა

# ტესტები

## კითხვისა და წერის უნართა განვითარებისათვის

# IV

დიოგენე
დაწყებითი
სკოლა

რედაქტორი თინათინ ბოლქვაძე

დიზაინერი და
ტექნიკური რედაქტორი დალი ჯვარშეიშვილი

ყდის დიზაინერი ანა ოსიაშვილი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024, I გამოცემა
© ბელა სარია, ეთერ აფხაზავა

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-895-1

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21

elfosta adm@diogene.ge

www.diogene.ge

## რედაქტორისაგან

ტესტების წინამდებარე კრებული ეფუძნება დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს. თითოეული ტესტი კომპლექსურია. მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებსა და მათზე დაყრდნობით შექმნილ დახურულ თუ ღია ტიპის, მრავალფეროვან, სახალისო ტესტურ და შემაჯამებელ-შემოქმედებით წერით დავალებებს.

ტესტის მიზნია დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის გამოვლენასა და გაღრმავებაში.

შეთავაზებული ტესტური დავალებები მსწავლელს გაწაფული კითხვის, ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრების, კრიტიკული შეფასებისა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევათა განვითარებასა და სრულყოფაში ეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწალეს აქვს საშუალება შეადგენოს ტესტში მოცემული საკთხავი მასალის ანალოგიური სტრუქტურის, ჟანრისა და ფუნქციური დანიშნულების მქონე მცირე ზომის ტექსტები.

ტესტური დავალებები მოსწავლეს ხელს უწყობს, კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით, ფუნქციურ კონტექსტზე დაყრდნობით, სწორად გამოიყენოს ენობრივ-გრამატიკული საშუალებები და ლექსიკა (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიზმები და სხვ.).

ტესტებს ახალავს თვალსაჩინო მასალა (სქემები, ილუსტრაციები, ტიპოგრაფიული მინიშნებები...), რომელიც საკითხავებით დაინტერესების ერთგვარ სტიმულს აძლევს მოსწავლეს.

ტესტური კრებულის უნიკალურობას აპირობებს ლექსიკური სამუშაოები, რომელთა შესრულება მოითხოვს სიტყვის აგებულებაზე, თხზვასა და სიტყვათწარმოებაზე დაკვირვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

კრებულის ბოლოს დართულია სწორი პასუხები, რათა მოსწვლემ თავად შეძლოს შედეგების შემოწმება.

ვიმედოვნებთ, ბელა სარიასა და ეთერ აფხაზავას მიერ შექმნილი ტესტურ დავალებათა კებული თავის ფუნქციას შეასრულებს და მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი იქნება დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.

პროფესორი

თინათინ ბოლქვაძე

ტესტი 1

გასაფერადე



## დედასამშობლო რა არის?

— დედასამშობლო რა არის?
— მთლად სიყვარულის ზღვა არის,
ჯეჯილ-ყანები, ტყეები
და ამირანის მთა არის.

მიწა, ჰაერი, წყალია,
მზეა, სუნთქვაა, პურია,
სამშობლო ორივ თვალია,
სამშობლო სიხარულია.

შვილისთვის, შვილო, დედაა,
დედისთვის შვილზე მეტია,
სამშობლოსათვის ქართველ ქალს
ცხრა შვილი გაუმეტია.

სამშობლო საქართველოა,
ამერ-იმერი სრულიად,
სამშობლო, შვილო, დედაა,
დედისთვის — გულის გულია.

**ნაზი თარგამაძე**

**კითხვები და დავალებები:**

1. **პოეტის აზრით, მამულიშვილისთვის სამშობლო არის:**
   ა) მხოლოდ მთებითა და ზღვით შემოფარგლული ტერიტორია.
   ბ) ყველაფერი, რაც გიყვარს და რის გარეშეც სიცოცხლე წარმოუდგენელია.
   გ) მხოლოდ მზე, წყალი, მიწა და ჯეჯილ-ყანები.

2. **სამშობლო „დედისთვის შვილზე მეტია", – ამბობს ავტორი. რით ადასტურებს იგი ამ მოსაზრებას? ამოწერე ლექსიდან შესაბამისი ორი სტრიქონი.**

3. **რომელ მითს გულისხმობს ნაზი თარგამაძე, როცა წერს, რომ სამშობლო „ამირანის მთა არის"?**

4. **რომელი გვარის გმირობას გვახსენებს პოეტი მესამე სტროფში?**

5. **დაწერე, რამდენმარცვლიანი სტრიქონებია ლექსში.**

6. **ამოწერე ლექსის პირველი სტროფიდან ერთმარცვლიანი სიტყვები.**

**7. როგორ უნდა დალაგდეს სტრიქონები ისე, რომ ლექსი მივიღოთ? შემოხაზე სწორი პასუხი.**

1. ყველა ერთად – ვენახია, ჩვენი დასაფიცარი.
2. სამეგრელო ოცნებაა, გაფრენილი ფაფარი.
3. გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა – სიზმარი.
4. ქართლ-კახეთი ლეგენდაა, იმერეთი – ზღაპარი.

ა) 2, 1, 3, 4; ბ) 3, 2, 4,1; გ) 4, 2, 3,1. დ) 4, 3, 2,1.

**8. *ამერი* – აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავს, *იმერი* – დასავლეთ საქართველოს. მე-7 სავარჯიშოდან ამოწერე და დააჯგუფე აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს კუთხეების სახელები.**

აღმოსავლეთი: ____________________

დასავლეთი: ____________________

**9. *ზღვა* პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს წყლის მასას. დაწერე რას ნიშნავს სიტყვა *ზღვა* გადატანითი მნიშვნელობით ამ ლექსში.**

____________________

**10. დააკვირდი, როგორ იწერება ორი სიტყვის შეერთებით მიღებული რთული სიტყვა – *ჯეჯილ-ყანები.***
**დააწყვილე ის სიტყვები, რომელთა შეერთებით მიიღებ რთულ სიტყვებს და დაწერე ისინი სწორად.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მთა | ტყე | ამერი | კლდე | ქართლი |
| ღრე | იმერი | ბარი | კახეთი | ველი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ჯეჯილ-ყანები | 3. | |
| 1. | | 4. | |
| 2. | | 5. | |

**11. რომელ სიტყვას არ აქვს მრავლობითი რიცხვი?**

ა) შვილი. ბ) გული. გ) ჰაერი. დ) თვალი.

**12. რომელია არასწორი შესიტყვება?**

ა) ყველა ქვეყანა. ბ) ცხრა შვილი. გ) სამნი ძმანი. დ) ბევრი შვილები.

**13. წინადადების თითოეულ წევრს დაუსვი კითხვა.**

სამშობლოსათვის ქართველ ქალს ცხრა შვილი გაუმეტია.

14. გაავრცე ყოველი წინადადება ისე, რომ ჩანდეს მოცემული ინფორმაციის მნიშვნელობა.
იმუშავე ნიმუშის მიხედვით.

| | |
|---|---|
| 1. | საქართველო – სახელმწიფო კავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროზე. |
| 2. | დედაქალაქი – თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ევროპაში. |
| 3. | სახელმწიფო ენა – ქართული. |
| 4. | ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს „ქართ“ ძირისაგან, რაც უძველეს სატომო სახელს, „ქართუს“, უკავშირდება. |
| 5. | ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი ჰეროდოტე ევროპასა და აზიას შორის საზღვარს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ რიონსა და მტკვარზე, ატარებდა. |
| 6. | ქართული ხალხური ცეკვა და სიღერა მსოფლიო ფოლკლორის სამკაულად მიიჩნევა. |

**ნიმუში: 1. საქართველო კავკასიაშია, შავი ზღვის სანაპიროზე,** ***ამიტომ მას ბევრ ქვეყანასთან დაკავშირება საზღვაო გზითაც შეუძლია.***

## რა არის სამშობლო?

მეოთხე თუ მეხუთე კლასში ვიყავი.

— დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო, — ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.

— სამშობლო... სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე და...

— კიდევ? — ჩამეკითხა მასწავლებელი. ძალიან დიდხანს ვიფიქრე.

— დაჯექი, დუმბაძე! — მითხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღირსე.




— არ დამიწეროთ, მასწავლებელო, ორი. ვიცი და ვერ ვამბობ, — შევეხვეწე მე და ავტირდი. ძლივს დამამშვიდა მასწავლებელმა. მერე რაფიელ ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ აგვიხსნა...

იქნებ სამშობლო რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია:

„როგორც უფალი,
სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!“

ან იქნებ აკაკის „განთიადია“ სამშობლო! ან ვაჟას „სიმღერა“:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნუვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!“

იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია — ცაში ხელებაპყრობილმა. ორივე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.

**ნოდარ დუმბაძე**

**კითხვები და დავალებები:**

1. **წაიკითხე ნოდარ დუმბაძის ტექსტში ჩართული ვაჟა-ფშაველას სიტყვები. პოეტის აზრით, ქართველი:**
   ა) უფრთხილდება ტრადიციებს და იცავს თავის სამშობლოს.
   ბ) არ არის მოძალადე და სიცოცხლის ფასად იცავს თავის სამშობლოს.
   გ) ესხმის თავს და იპყრობს სხვების სამშობლოს.

2. **ნოდარ დუმბაძე ტექსტში რამდენჯერმე იმეორებს სიტყვას — *იქნებ*. ამით ავტორი მიგვანიშნებს, რომ:**
   ა) მის მიერ ჩამოყალიბებული პასუხი ზუსტი არ არის და მხოლოდ ვარაუდია.
   ბ) მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მომავალში აუცილებლად გაიზიარებენ.
   გ) მის მიერ მოთხრობილი ამბავი დააინტერესებს მომავალ თაობას.

3. **რა მიზნით ჩართო ნოდარ დუმბაძემ თავის მოგონებაში სხვა პოეტების სიტყვები?**
   ა) ქართული ენის მასწავლებლის დასახასიათებლად.
   ბ) ბავშვობისდროინდელი განცდების გასაზიარებლად.
   გ) მის მიერ გამოთქმული მოსაზრების დასამოწმებლად.

4. **ტექსტი იწყება ბავშვობისდროინდელი მოგონებით. რით სრულდება იგი?**
   ა) ისევ მოგონებით. ბ) ავტორის მოსაზრებით. გ) ავტორის რჩევით.

5. ტექსტის ბოლო აბზაციდან ამოწერე საპირისპირო შინაარსის სიტყვები.

_______________ _______________

6. ტექსტის მესამე წინადადების ბოლოში მრავალწერტილი მიგვანიშნებს, რომ:

ა) დასმული შეკითხვა ძალიან რთულია.

ბ) მთხრობელი ყოვნდება აზრის გამოთქმისას.

გ) მთხრობელს მოსწონს დასმული შეკითხვა.

7. ა) ამოწერე ტექსტიდან ლექსების სათაურები.

1. _______________ 2. _______________ 3. _______________

ბ) შეადგინე წინადადებები, რომლებშიც ეს სიტყვები არ იქნება სათაურები.

8. ტექსტში ლექსების სტრიქონები ბრჭყალებშია ჩასმული, რადგან:

ა) ეს სიტყვები სხვა ავტორს ეკუთვნის.

ბ) ეს სიტყვები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

გ) ეს სიტყვები ავტორის მოსაზრებას გამოხატავს.

9. ამოიწერე ტექსტიდან 2-2 ზმნა, რომლებიც გამოხატავენ პირველი, მეორე და მესამე პირის მოქმედებას.

| | I პირი | II პირი | III პირი |
|---|---|---|---|
| 1. | მე | შენ | ის |
| 2. | მე | შენ | ის |

10. შეუცვალე ჩამოთვლილ ზმნებს დრო მითითებული კითხვის მიხედვით.

| რას შვრება? | რას იზამს? |
|---|---|
| მიდის | |
| ლოცავს | |
| არის | |
| ზის | |
| ხსნის | |
| ამბობს | |

11. მარაგიდან შეარჩიე მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილთა მსგავსი მნიშვნელობის ზმნები და დაწერე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იფიქრა | შეევედრა | აქვითინდა | გაჩნდა | დაიმშვენა |
| დაწყნარდა | შეცვალა | დალოცა | განმარტა | დააკვირდა |

1. დამშვიდდა – __________________
2. ატირდა – __________________
3. დაიბადა – __________________
4. შეეხვეწა – __________________
5. მოიხდინა – __________________
6. ახსნა – __________________

12. შეარჩიე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან ერთ-ერთი და ჩაწერე წინადადებებში.

1. სამშობლო __________ ადგილია, სადაც დავიბადე. (**იქ, ის, ისეთი**)
2. ლოცვა __________ არაფერს უხდება, როგორც სამშობლოს. (**მაშინ, ისე, იმიტომ**)
3. ბიჭი __________ დამშვიდდა, როდესაც ლექსი მოისმინა. (**ისე, მაშინ, ისეთი**)

13. აღნიშნე X-ით სწორად შემოკლებული რიგის აღმნიშვნელი სიტყვები.

1. ☐ 4-ე ☐ მე-4
2. ☐ მე-40 ☐ 40-ე
3. ☐ 37-ე ☐ მე-37-ე
4. ☐ მე-51 ☐ 51- ე

14. დაწერე თხზულება – სამშობლო.
დაიხმარე კითხვები:

✓ რა არის შენთვის სამშობლო?
✓ განსაკუთრებით რა მოგწონს, რით ამაყობ?
✓ რა მიგაჩნია ქართველთა გამორჩეულ თვისებად?
✓ როგორი გინდა იყოს შენი სამშობლო მომავალში?

3

ტესტი

## ცხრილი და განრიგი

**1. წაიკითხე საბას ორი დღის გაკვეთილების ცხრილი და უპასუხე კითხვებს.**



ორშაბათი

| | |
|---|---|
| 1 | მათემატიკა |
| 2 | ქართული ენა |
| 3 | ბუნება |
| 4. | მუსიკა |
| 5. | |



ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| 1 | ინგლისური ენა |
| 2 | მათემატიკა |
| 3 | ქართული ენა |
| 4. | სპორტი |
| 5. | ხელოვნება |

1. რომელი დღეების ცხრილი წაიკითხე? ______________________________

2. რომელი გაკვეთილები მეორდება ამ ორ დღეს? ______________________________

3. საბა კვირაში ხუთ დღეს სწავლობს და ყოველდღე აქვს ქართული ენა. დაწერე, დასახელებული ორი დღის გარდა, რომელ დღეებში ექნება მას ქართული?

______________________________

4. ცხრილის მიხედვით, რომელ საგნებს სწავლობს საბა? ______________________________

______________________________

**2. მოიფიქრე და შეადგინე ერთი დღის ცხრილი იმ გაკვეთილების ჩამონათვალით, რომლებიც განსაკუთრებით გიყვარს.**



— — — — —

| | |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4. | |
| 5. | |

ბ) დაწერე, რით იქნებოდა ასეთი დღე შენთვის გამორჩეული.

_______________________________________________

_______________________________________________

3. საბას დაგეგმილი აქვს ყოველი დღე. წაიკითხე ერთ-ერთი დღის განრიგი და შეასრულე განრიგის ბოლოს მოცემული დავალებები.

ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| 8 საათი | ადგომა, ვარჯიში, დაბანა, ჩაცმა |
| 9-ის თხუთმეტი წუთი | საუზმე, ჩანთის ჩალაგება |
| 9-ის ნახევარი | სკოლაში წასვლა |
| 9-იდან 2 საათამდე | გაკვეთილები |
| 3-ის ნახევარი | სადილი |
| 3 საათი | ცურვა |
| 5-დან 8 საათამდე | დავალებების მომზადება |
| 8 საათზე | ვახშამი |
| 9 საათი | დაძინება |

ა) დაწერე გაკვეთილების ცხრილისა და დღის განრიგის ერთ-ერთი საერთო მახასიათებელი.

_______________________________________________

ბ) დაწერე ორი ნიშანი, რომლებითაც დღის განრიგი განსხვავდება გაკვეთილების ცხრილისაგან.

დღის განრიგში: 1. _______________________________

2. _______________________________

4. . ამოწერე განრიგიდან 4 სიტყვა, რომლებიც აღნიშნავს საბას მოქმედებებს.

1. _______________ 3. _______________

2. _______________ 4. _______________

5. შეუცვალე ფორმა შენ მიერ ამოწერილ სიტყვებს მითითებული კითხვის მიხედვით.

რას აკეთებს საბა?

| | |
|---|---|
| 1. | 2. |
| 3. | 4. |

6. მე-5 დავალებაში გამოყენებულ ზმნებს შეუცვალე ფორმა მითითებული კითხვის მიხედვით.

მე რას ვაკეთებ?

| | |
|---|---|
| 1. | 2. |
| 3. | 4. |

**7. კითხვების მიხედვით ჩაწერე ცხრილში გამოტოვებული ზმნები.**

| ახლა რას ვაკეთებ? | გუშინ რა გავაკეთე? | ხვალ რას ვიზამ? |
|---|---|---|
| ვდგები | | |
| | ვივარჯიშე | |
| ვუსმენ | | |
| | | ვივახშმე |

**8. დაწერე სათანადო ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.**

ძველად ________ **(ქართველი)** კვირას ________ **(მზე)** დღეს უწოდებდნენ. შემდეგ ებრაულის ________ **(გავლენა)** კვირის დღეების სახელდებებში სიტყვა შაბათი გახდა მნიშვნელოვანი. ერთშაბათი ________ **(კვირა)** დაერქვა. მას მოჰყვებოდა ორშაბათი, სამშაბათი და ა.შ. დრო ________ **(გასვლა)** და ერთშაბათს ბერძნულის გავლენით კვირა უწოდეს.

**9. შეარჩიე კვირის ორი დღე და გაასაუბრე ისინი ერთმანეთთან. საუბარში უნდა ჩანდეს, მათი აზრით, რით არის თითოეული მათგანი ადამიანისათვის განსაკუთრებული.**

- ✓ დავალების შესასრულებლად გამოიყენე გაპიროვნების ხერხი, კვირის დღეების საუბარი კი დაწერე დიალოგის სახით.
- ✓ მოიფიქრე და დიალოგს მკითხველის დასაინტერესებლად წინ წარუმძღვარე მოკლე განმარტება: რატომ შეარჩიე კვირის ეს დღეები; სად, რა ვითარებაში მიმდინარეობს საუბარი.

4

ტესტი

## თავგაუტეხელი კაცი

ერთი მოხუცებული კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა. აიღო სავსე ჩარექა და თავი ასე დაილოცა: ღმერთო, დამასწარ მრავალ ამ დროს. ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ თავი ჩემთვის არავის გაუტეხია და ნურც მივალ იმ ზომამდე, რომ ვინმემ გამიტეხოსო.

ერთმა ახალგაზრდამ ყური მოჰკრა მოხუცის სიტყვებს, აიღო თოხი და წყალი თავის ვენახს მიუგდო. რა წყალი შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისაკენ გაეშურა. სათავეში თოხით ხელში ვიღაც ყმაწვილი დაინახა, რომელსაც წყალი თავის ვენახში გადაეგდო. მოხუცმა ჰკითხა:

– რატომ გადამიგდე წყალიო?

ახალგაზრდამ უპასუხა:

– ჩემი ჯერიაო.

– რათა, კაცო, ჩემი ჯერი არ არისო?

– შენი ჯერი იყო, მაგრამ ახლა მე უნდა მოვრწყო!

მოხუცმა რა შეატყო ახალგაზრდას, შარზეაო, უთხრა:

– კარგი, დღეს შენ მორწყე, შვილო, ხვალ კი მე მოვრწყავო.

ახალგაზრდა კი გაჯიუტდა:

– ხვალაც მე მინდაო!

– კარგი, რაკი ხვალაც შენ გინდა, მე ზეგ მოვრწყავ.

– არა, ზეგაც მე მინდა!

– კარგი, რაკი ზეგაც შენ გინდა, მაზეგ მე მოვრწყავ.

ახალგაზრდამ ვერ იპოვა ჩხუბის მიზეზი, შერცხვა და თქვა:

– ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო, – და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო.

**ხალხური**



გააფერადე

**კითხვები და დავალებები:**

1. **რით იყო მოხუცი კმაყოფილი?**
   ა) სავსე ჩარექით რომ სვამდა ღვინოს.
   ბ) ვენახის მორწყვის შესაძლებლობა რომ ჰქონდა.
   გ) არასოდეს არავისთან რომ არ ჰქონია უსიამოვნება.

2. **რა მიზნით შეუცვალა ახალგაზრდამ წყალს მიმართულება?**
   ა) სურდა მას უკეთესი მოსავალი ჰქონოდა.
   ბ) სურდა მოხუცის ნათქვამი შეემოწმებინა.
   გ) სურდა მოხუცი უფრო ახლოს გაეცნო.

3. **რას ნიშნავს - *შარზეა?***
   ა) სხვისი გამოცდა სურს.  ბ) თავის შეკავება შეუძლია.  გ) ჩხუბის მიზეზს ეძებს.

4. **რომელი თვისების წყალობით შეძლო მოხუცმა უსიამოვნების თავიდან აცილება?**
   ა) შრომისმოყვარეობის წყალობით.
   ბ) გულწრფელობის წყალობით.
   გ) მოთმინების წყალობით.

5. **რის გამო შერცხვა ახალგაზრდას?**
   ა) ეჭვი რომ შეიტანა მოხუცის კეთილშობილებაში.
   ბ) თავისი ვენახის მორწყვა რომ სურდა.
   გ) ყური რომ დაუგდო სხვის საუბარს.

6. რა ასწავლა ამ შემთხვევამ ახალგაზრდას? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

______________________________________________

7. ჩამოთვლილი ანდაზებიდან რომელი შეესაბამება მოცემული ტექსტის მთავარ სათქმელს?

ა) ვინც მალე ჭრის, ის დიდხანს ნანობსო.
ბ) ვინც თავი არ იცის, ბოლოც არ იცისო.
გ) ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

8. მოუძებნე გამოთქმებს სინონიმური შესატყვისები და დააკავშირე ისრებით.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ყური მოჰკრა | გამოფხიზლდა |
| 2. | ყური დაუგდო | გაიგონა |
| 3. | ყური შეიბერტყა | მოუსმინა |

9. ამოიწერე ტექსტიდან დროის აღმნიშვნელი ოთხი სიტყვა.

__________ __________ __________ __________

10. რომელ წინადადებაში ჩანს ერთდროულად შესრულებული ორი მოქმედება?

ა) ერთი მოხუცებული კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა.
ბ) ერთმა ახალგაზრდამ აილო თოხი და წყალი თავის ვენახს მიუგდო.
გ) წყალი რომ შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისაკენ გაეშურა.

11. რომელ წინადადებაში ჩანს მოქმედების მიზეზი?

ა) ახალგაზრდამ ვერ იპოვა ჩხუბის მიზეზი.
ბ) ასეთი კაცი რომ ხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავი.
გ) კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა.

12. სწორი ფორმები მონიშნე ✓-ით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ◯ შესწყვიტა. | ◯ შეწყვიტა. | 4. | ◯ თხოვა. | ◯ სთხოვა. |
| 2. | ◯ კითხა. | ◯ ჰკითხა. | 5. | ◯ ყოფილხარ. | ◯ ჰყოფილხარ. |
| 3. | ◯ მოჰკრა. | ◯ მოკრა. | 6. | ◯ მოყავს. | ◯ მოჰყავს. |

13. დააკვირდი ნიმუშს და შეავსე ცხრილი.

| | რას იზამს? | რა ქნა? | რა უქნია? |
|---|---|---|---|
| | მორწყავს | მორწყა | მოურწყავს |
| 1. | მოჰკრავს | | |
| 2. | | დალოცა | |
| 3. | | | დაუნახავს |

14. ჩაანაცვლე ნაცვალსახელები არსებითი სახელებით.

1. (ის) ______________ ვენახს რწყავდა. 2. (მან) ______________ წყალს მიმართულება შეუცვალა. 3. (მას) ______________ მოხუცის გამოცდა სურდა.

15. ამოიწერე ტექსტიდან 2-2 ზმნა, რომლებიც გამოხატავენ პირველი, მეორე და მესამე პირის მოქმედებას.

| | I პირი | II პირი | III პირი |
|---|---|---|---|
| 1. | მე | შენ | ის |
| 2. | მე | შენ | ის |

16. ტექსტის მიხედვით დაწერე:
ა) ორი რამ, რასაც გაითვალისწინებ.

1. ______________________________

2. ______________________________

ბ) ერთი რამ, რამაც გაგაკვირვა.

1. ______________________________

17. გაიხსენე შემთხვევა, როდესაც შენ რაღაცის დათმობა შეძელი. დაწერე თხზულება შემდეგი კითხვების მიხედვით:
- ✓ რა იყო სადავო?
- ✓ რატომ გადაწყვიტე დათმობა?
- ✓ რით იყავი კმაყოფილი ან უკმაყოფილო?

5

ტესტი

## განცხადება

**1. წაიკითხე განცხადება და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალება.**

**ყურადღება!**

2 ოქტომბრიდან ჩვენს სკოლაში იხსნება ჭადრაკის წრე. ჭადრაკის შესწავლა შეუძლია ნებისმიერი კლასის მოსწავლეს.

გაკვეთილები ჭადრაკში ჩატარდება კვირაში ორჯერ.

მსურველებს ვთხოვთ მობრძანდნენ ჭადრაკის ოთახში (მეორე სართული, ოთახი 15) პარასკევს, 25 სექტემბერს, დღის 12 საათიდან 5 საათამდე.



**ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი**

**წაიკითხე შეკითხვები და გაარკვიე, რომელ მათგანზეა პასუხი განცხადებაში. გამოიყენე აღნიშვნა – ✓.**

| | შეკითხვები: | დიახ |
|---|---|---|
| 1. | რა ჰქვია ჭადრაკის წრის ხელმძღვანელს? | |
| 2. | როდის იწყებს მუშაობას ჭადრაკის წრე? | |
| 3. | რომელ დღეებში ჩატარდება მეცადინეობა? | |
| 4. | რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ წრეზე სიარული? | |
| 5. | რომელ სკოლაში იხსნება წრე? | |
| 6. | კვირაში რამდენჯერ ჩატარდება მეცადინეობა? | |
| 7. | სად არის ჭადრაკის წრის ოთახი? | |
| 8. | რამდენ საათს გაგრძელდება ჭადრაკის გაკვეთილი? | |

**2. წაიკითხე განცხადება და უპასუხე კითხვებს.**

## განცხადება

20 ნოემბერს ტარდება საქალაქო ოლიმპიადა ქართულ ენაში.

ოლიმპიადის მონაწილეთა შესარჩევად ხვალ, 15 ნოემბერს, სკოლაში ჩატარდება კონკურსი. კონკურსის მონაწილეები შეასრულებენ ორ წერით დავალებას.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ სკოლაში 10 საათზე.

**სკოლის დირექტორი**

1. რა მიზნით ტარდება კონკურსი? ______________________________

2. ვინ უნდა დაინტერესდეს ამ განცხადებით? ______________________

3. ვინ წერს განცხადებას? ____________________________________

3. **განცხადებაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეადგინე კითხვითი წინადადებები.**

1. როდის ____________________

2. სად ____________________

3. რა ____________________

4. რას ____________________

4. **წაიკითხე წინადადებები და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალება.**

| | |
|---|---|
| №1 | ნაგავს ნუ დაყრით! |
| №2 | გთხოვთ არ იხმაუროთ! |
| №3 | მიღებულია ახალი ქართული მულტფილმების ჩანაწერები. |
| №4 | ეზოში ავი ძაღლია! |

**შეავსე ცხრილი. გამოიყენე აღნიშვნა – ✓.**

| | **შეკითხვები:** | №1 | №2 | №3 | №4 |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რომელი წინადადება გვატყობინებს სიახლეს? | | | | |
| 2. | რომელი წინადადება გადმოსცემს აკრძალვას? | | | | |
| 3. | რომელი წინადადება გამოხატავს გაფრთხილებას? | | | | |
| 4. | რომელი წინადადება გამოხატავს თხოვნას? | | | | |

5. **წარმოიდგინე, რომ შენი კლასი ატარებს კონცერტს. დაწერე განცხადება, რომელსაც სკოლაში გააკრავ.
ამ განცხადებით მოიწვიე კონცერტზე დასასწრებად სკოლის მოსწავლეები.
არ დაგავიწყდეს მიუთითო კონცერტის დაწყების დრო და ჩატარების ადგილი.**



6. **დაწერე ორი წინადადება, რომლებითაც შეახსენებ მოსწავლეებს კონცერტზე ქცევის წესებს. გამოიყენე სიტყვები:** არ, ნუ.
**დასვი სათანადო სასვენი ნიშნები.**

7. **ნიკას თუთიყუში კაკადუ ქუჩაში გაუფრინდა. ბიჭმა დაწერა განცხადება და სადარბაზოებში გააკრა.**
**წაიკითხე ნიკას განცხადება და დაწერე, რის მითითება დაავიწყდა მას.**




8. **წარმოიდგინე, რომ შენმა კლასმა შაბათს სკოლის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავა.**
**გვიამბე ამ დღის შესახებ:**
- ✓ როგორ გაავრცელეთ ინფორმაცია თქვენი ღონისძიებების შესახებ?
- ✓ ვინ გამოგეხმაურათ?
- ✓ აღწერე ტერიტორია, რომელსაც ასუფთავებდით.
- ✓ ისაუბრე, რას საქმიანობდით და როგორ.
- ✓ რით იყო მნიშვნელოვანი ეს დღე?

**6**

ტესტი

# დათვის წვეულება

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები,
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:
ტურა, მელა, ზღარბი, მგელი.

უკეთესი მასპინძლობა,
უნდა ვთქვათ, რომ არ ნახულა;
რა საჭმელი, რა სასმელი!
რა იყო, რომ იქ არ დგმულა?

გახალისდა დათუნია,
მოლხენით რომ სხვებიც ნახა
და ბუზუნა, ტკბილი ბანით
„სუფრულიც“ კი შემოსძახა.

გაოცებულ იმის სტუმრებს
მარტო ესეც არ აკმარა,
გადმოახტა სუფრას თავზე
და ლეკურიც დაუარა.

მელაკუდამ ტაში დაჰკრა:
„ამფერ! ჩემო დათუნათ!
როგორ გშვენის ეგ დავლური,
მალაყები და ხტუნვათ!“

მაშინ მგელმა წასჩურჩულა:
„მელავ, ტყუილს ნუ ამბობთ!
სასაცილოდ დაძუნძულებს
და შენ მაგრე რად ამკობთ?“

მაგრამ მელამ უპასუხა:
„ბრიყვი ხარ და სულელით!
რას დავეძებ მაგის თამაშს?
მე სხვა რამეს მოველით.

მოვუწონებ, ეამება,
გაბრიყვდება ამ ქებითო
და ჩვენ კი რა გვენაღვლება,
ვახშმადაც აქ დავრჩებითო.“

**აკაკი წერეთელი**



გააფერადე

**კითხვები და დავალებები:**

1. **დათვის ჩამოთვლილი თვისებებიდან შეარჩიე მხოლოდ ორი და შეავსე ცხრილი.**
   **თვისებები: გულუხვი, გულუბრყვილო, ხალისიანი.**

| | თვისებები | ამონარიდი ტექსტიდან |
|---|---|---|
| 1. | | |
| 2. | | |

2. **ტექსტის მიხედვით, მელა არის:**
   ა) სამართლიანი. ბ) პირდაპირი. გ) პირფერი. დ) გაბედული.

3. **დაასრულე წინადადებები:**

1. მელა იმიტომ ცრუობს, რადგან ___

2. მელა იმისათვის ცრუობს, რათა ___

**4. ეს ტექსტი იგავ-არაკია, რადგან:**

ა) მასში ჩართულია დიალოგი პერსონაჟებს შორის.

ბ) პერსონაჟებში გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმებიან ადამიანები.

გ) აღწერილია გარემო, სადაც ხდება მოქმედება.

დ) ავტორი მსჯელობს პერსონაჟთა თვისებების შესახებ.

**5. რა მიზანი აქვს ავტორს?**

ა) დააფიქროს მკითხველი ადამიანის უარყოფით თვისებებზე.

ბ) მოუთხროს მკითხველს დათვის წვეულების ამბავი.

გ) მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია ტყის ბინადართა შესახებ.

**6. იპოვე ტექსტში ექვსი შეცდომა და ჩაწერე უჯრედებში გასწორებული ფორმები.**

1. იგავ-არაკი დამრიგებლობითი ხასიათის ნაწარმოებია. 2. მისი გმირები ძირითადად არის ცხოველები, მცენარები, მაგრამ იგულისხმება ადამიანები. 3. მეიგავარაკე ხშირათ მიმართავს გაპიროვნების ხერხს. 4. იგავ-არაკი ზოგჯერ მთავრდება შეგონებით, ზოგჯერ კი მკითხველი თითონ უნდა მიხვდეს მწერალის მთავარ სათქმელს.

| | | |
|---|---|---|
| 1. | 2. | 3. |
| 4. | 5. | 6. |

**7. შემოხაზე სწორი პასუხები.**

**1. *წვეულების* სინონიმია:**
ა) სტუმრობა. ბ) ლხინი. გ) მეზობლობა.

**2. *ქების* სინონიმია:**
ა) შემკობა. ბ) შელამაზება. გ) დაჯილდოება.

**3. *მალაყი* არის:**
ა) მყარად დგომა. ბ) განზე დგომა. გ) თავდაყირა დგომა.

**8. ამოწერე მეშვიდე სტროფიდან სინონიმური წყვილი?**

______________________________

**9. მითითების მიხედვით ამოწერე იგავ-არაკიდან ორი წინადადება.**

1. გამოხატავს აღტაცებას: ______________________________

2. გამოხატავს აკრძალვას: ______________________________

**10. აღადგინე ტექსტში გამოტოვებული სიტყვები:**

1. მოხერხებულობით. 2. განადგურებით. 3. შედარებით. 4. სმენა.
5. რბილი. 6. სარგებლობა. 7. ზიანს. 8. თხრის.

მელა მტაცებელი ცხოველია. აქვს წაგრძელებული ტანი, ხშირი და (ა) __________ ბეწვი. ცხოვრობს სოროში, რომელსაც თვითონ (ბ) __________ . მხედველობა (გ) __________ სუსტი აქვს, (დ) __________ და ყნოსვა — კარგი. გამოირჩევა სიფრთხილითა და (ე) __________ . მელას (ვ) __________ მოაქვს მავნე მღრღნელებზე ნადირობით. მაგრამ, სამწუხაროდ, შინაური ფრინველის (ზ) __________ ის დიდ (თ) __________ აყენებს ადამიანებს.